საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

14 მაისი, 2018 წელი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №114/17

-- -- 2017 წლის 29 ივნისის №-- -- საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის (2018 წლის 01 მაისამდე არსებული რედაქციით) შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 20 აპრილის №114/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 14 მაისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით, -- -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია საქმე -- -- (მოსარჩელე - -- --, მოპასუხე - -- --). აღნიშნული საქმე 2017 წლის 06 იანვრიდან არის წარმოებაში და განსახილველად გადაცემული აქვს მოსამართლე -- --. მოპასუხეს სარჩელი ჩაბარდა 2017 წლის 12 იანვარს. შესაგებლის წარმოდგენის 10 დღიანი ვადა ამოიწურა 2017 წლის 23 იანვარს. 2017 წლის 23 იანვარს -- -- საქალაქო სასამართლოს განცხადებით მიმართა -- --. მოპასუხემ სასამართლოს წარუდგინა -- -- ასლი. აღნიშნული განცხადებით მოპასუხე ითხოვდა შესაგებლის წარმოსადგენად განსაზღვრული 10 დღიანი ვადის გაგრძელებას. 2017 წლის 23 იანვრის განჩინებით მოსამართლე -- -- მიერ, -- -- თვის შესაგებლის წარმოდგენის 10 დღიანი ვადა გაგრძელებულ იქნა 11 დღით.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მისთვის უცნობია, როდის ჩაბარდა მოპასუხეს 2017 წლის 23 იანვრის განჩინება, თუმცა ცალსახაა, რომ სასამართლო გზავნილის მოპასუხისათვის ჩაბარების დრო ვერ იქნებოდა 2 თვეზე მეტი, რადგან -- -- ადგილმდებარეობის გაგება სირთულეს არ წარმოადგენს. შესაბამისად, მოსარჩელემ 2017 წლის 18 მაისს (მოსამართლე -- --) და 2017 წლის 07 ივნისს (-- -- საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს -- --) განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა, საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება. მიუხედავად ამისა, მის განცხადებებს არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია.

საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ სახეზეა საქმის განხილვის განზრახ, უსაფუძვლოდ გაჭიანურება და მოსამართლე -- -- მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობა.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. -- --, პირადად, წარმომადგენლის გარეშე, 2016 წლის 26 დეკემბერს სარჩელით მიმართა -- -- საქალაქო სასამართლოს მოპასუხის, -- -- მიმართ და მოითხოვა, სამსახურიდან მისი განთავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, განაცდური ხელფასის მოპასუხისთვის გადახდევინება და მორალური ზიანის ანაზღაურება. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2017 წლის 03 იანვარს -- -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარეს მოხსენებითი ბარათით მიმართა მოსამართლე -- -- თანაშემწე -- -- და მოსამართლის საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის გამო ითხოვა აღნიშნული საქმის სხვა მოსამართლისათვის გადაცემა. 2017 წლის 04 იანვარს საქმე გადაეცა მოსამართლე -- --.

2017 წლის 20 იანვარს მოსარჩელემ სასამართლოს წარუდგინა სარჩელის და თანდართული დოკუმენტების მოპასუხისათვის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი.

2017 წლის 23 იანვარს მოპასუხემ სასამართლოში წარმოადგინა -- -- ასლი, რომელიც იმავდროულად გაეგზავნა -- --. 2017 წლის 25 იანვარს ხსენებული -- -- ასლი, -- -- მიერ, გადაგზავნილ იქნა -- -- საქალაქო სასამართლოში. -- -- აღნიშნული იყო, რომ სადავო საკითხთან დაკავშირებით -- -- ამზადებდა ინსტრუქციებს -- -- თვის და ამიტომ, -- -- ითხოვდა სასამართლოში შესაგებლის წარმოდგენის 10 დღიანი ვადის გაგრძელებას.

2017 წლის 23 იანვარს მოსამართლე -- -- მიერ მიღებულ იქნა განჩინება -- -- თვის შესაგებლის წარმოსადგენად დანიშნული 10 დღიანი ვადის 11 დღით გაგრძელების თაობაზე. აღნიშნული 11 დღიანი ვადის ათვლა უნდა დაწყებულიყო მოპასუხისათვის ამ განჩინების ჩაბარების მომენტიდან.

2017 წლის 31 იანვარს -- -- სასამართლოს წარუდგინა -- -- კიდევ ერთი -- --.

მოპასუხეს 2017 წლის 23 იანვრის განჩინების ასლი გაეგზავნა 2017 წლის 06 თებერვალს. ზემოთხსენებული განჩინების ასლი ასევე გაეგზავნა -- --.

2017 წლის 08 თებერვლიდან საქმე განსახილველად დაუბრუნდა მოსამართლე -- --.

2017 წლის 18 მაისს მოსარჩელემ, -- -- შუამდგომლობით მიმართა მოსამართლე -- -- და იმ მიზეზით, რომ მოპასუხეს არ ჰქონდა წარმოდგენილი შესაგებელი, მოითხოვა საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება.

2017 წლის 07 ივნისს -- -- განცხადებით მიმართა -- -- საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს და მოითხოვა, საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა. -- -- აღნიშნავდა, რომ შესაგებლის წარმოდგენის საპროცესო ვადის 11 დღით გაგრძელების შესახებ განჩინება მოპასუხეს გაეგზავნა 2017 წლის 06 თებერვალს. განმცხადებლისთვის უცნობი იყო, როდის ჩაბარდა ეს განჩინება -- -- თუმცა, მისი ვარაუდით, ამ დაწესებულებისთვის გზავნილის ჩაბარება სირთულეს არ წარმოადგენდა.

2017 წლის 27 ივნისს -- -- გაეგზავნა -- -- სარჩელი და თანდართული დოკუმენტები -- -- გადასაცემად.

2017 წლის 24 აგვისტოს მოსამართლე -- -- წერილობით მიმართა -- -- და ამცნო, რომ მოპასუხეს, -- --, -- -- სარჩელი და თანდართული დოკუმენტები გადაეცა 2017 წლის 21 აგვისტოს.

2017 წლის 02 ოქტომბერს სასამართლოში, -- -- მიერ, წარმოდგენილ იქნა -- -- კიდევ ერთი -- --, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ შესაგებელს -- -- წარმოადგენდა 2017 წლის 20 ოქტომბერს.

მოპასუხის შესაგებელი სასამართლოში წარმოდგენილ იქნა 2017 წლის 20 ოქტომბერს. მოპასუხის წარმომადგენელმა შესაგებელში განმარტა, რომ აღნიშნული დავა არ წარმოადგენს შრომით სამართლებრივი დავის კლასიკურ მაგალითს, რადგან მოპასუხე არის -- --, როგორც -- --. გარდა ამისა, დავის არსებით შინაარსს შეადგენდა ის ფაქტი, რომ მოსარჩელის პიროვნება მიუღებელი იყო მოპასუხისათვის უსაფრთხოების კუთხით, -- -- ინტერესებიდან გამომდინარე. შესაბამისად, საერთაშორისო სამართლის პრაქტიკის გათვალისწინებით, მოპასუხე ითხოვდა საქმისწარმოების შეწყვეტას (საქართველოს საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის მიხედვით).

2017 წლის 14 ნოემბრის განჩინებით საქმეზე მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2017 წლის 05 დეკემბერს. 2017 წლის 05 დეკემბრის მოსამზადებელ სხდომაზე საქმის განხილვა გადაიდო 2017 წლის 08 დეკემბერს.

2017 წლის 08 დეკემბრის განჩინებით, აღნიშნულ საქმეზე შეწყდა საქმისწარმოება.

2.2. 2017 წლების სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მოსამართლე -- -- 2017 წელს განსახილველად გადაცემული ქონდა 652 საქმე, რომელთაგანაც დაასრულა 530 საქმის განხილვა (81.3%).

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა

-- -- 2017 წლის 29 ივნისის №-- -- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, არ ქმნის მოსამართლე -- -- მიერ „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით (2018 წლის 01 მაისამდე არსებული რედაქციით) გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

მოცემულ შემთხვევაში, შესაძლოა სახეზე იყოს მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით - „საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება“ და „ე“ ქვეპუნქტით - „მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება“ გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენის ფაქტები.

იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრების საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს, თავისი არსით რას წარმოადგენს - საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება, როდიდან უნდა ჩაითვალოს საქმე გაჭიანურებულად და რას გულისხმობს ტერმინი „უსაფუძვლო“. აღნიშნულ გადაცდომასთან დაკავშირებით, დამატებით განმარტებებს არ გვაძლევს შიდა კანონმდებლობა, ამასთან, არც სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის არსებული გადაწყვეტილებები იძლევა აღნიშნული საკითხის განზოგადების შესაძლებლობას.

ამდენად, მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო უსაფუძვლო გაჭიანურებაზე მსჯელობისას, აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

ამასთან, საქმის განხილვის დაწყების შემდეგ იყო თუ არა საქმის განხილვის ვადები არაგონივრული სასურველია შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სასამართლო პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ, ეს კრიტერიუმებია: 1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, 55; Papachelas v. Greece, 39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, 72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, 63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, 150); 2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, 103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, 61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას; 3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece; 93; Tiece v. San Marino; 31; Suermeli v. Germany, 129.)

თუმცა აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, 43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany; 98).

მოცემულ შემთხვევაში მოსამართლე -- -- წარმოადგენს სამოქალაქო საქმეთა განმხილველ მოსამართლეს შესაბამისად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის შესაბამის ვადებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე, მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა. ამასთან, ამავე მუხლის მე-3[1] პუნქტის თანახმად, ამავე კოდექსის 184-ე მუხლით

გათვალისწინებულ შემთხვევებში, სამოქალაქო საქმეები განიხილება მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენიდან ან მოპასუხისათვის გზავნილის საჯარო შეტყობინებით ჩაბარებიდან არა უგვიანეს 45 დღისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 60 დღისა.

-- -- -- -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა 2016 წლის 26 დეკემბერს. 2017 წლის 20 იანვარს მოსარჩელემ სასამართლოს წარუდგინა სარჩელის და თანდართული დოკუმენტების მოპასუხისათვის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი. 2017 წლის 08 დეკემბრის განჩინებით, აღნიშნულ საქმეზე შეწყდა საქმისწარმოება. შესაბამისად, საქმე განხილვაში იყო 10 თვის და 17 დღის განმავლობაში. აქედან გამომდინარე, სახეზე გვაქვს საქმის განხილვის გაჭიანურება 5 თვით და 17 დღით.

საქმის განხილვის გაჭიანურებაში მოსამართლის ბრალეულობის დასადგენად აუცილებელია შეფასდეს განსახილველი საქმის სირთულე, მხარეთა მოქმედებები, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად და მოსამართლის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები. აღსანიშნავია, რომ მოპასუხის, -- -- და -- -- მიერ სასამართლოში წარდგენილი იქნა არაერთი განცხადება და -- --, რაც პირდაპირ მოქმედებდა საქმის განხილვის მიმდინარეობაზე. სწორედ ამ მიზეზით, -- -- მიერ გამოგზავნილი -- -- საფუძველზე, მიღებულ იქნა განჩინება შესაგებლის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადის გაგრძელების შესახებ. ასევე, მოსარჩელემ რამოდენიმეჯერ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა, საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება. საქმის განხილვას ართულებდა ის ფაქტიც, რომ სასამართლო დავის ერთ-ერთი მონაწილე იყო -- --. ამდენად, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ წინამდებარე საქმე არის განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმე. -- -- დატვირთულობის და საქმის განხილვისას განხორციელებული საპროცესო მოქმედებების გათვალისწინებით, მოსამართლის ქმედებები არ შეიცავს საქმის განხილვის უსაფუძვლო, „ბრალეული“ გაჭიანურების ნიშნებს.

საჩივრის ავტორი ასევე მიუთითებს, რომ მოსამართლე -- -- არ დაუკმაყოფილა მას შუამდგომლობა საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესახებ და ამით, დაარღვია კანონი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „მოპასუხე ვალდებულია სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღების შემდეგ, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარუდგინოს სასამართლოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელზე და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ და მოსარჩელისათვის პასუხის (შესაგებლის) და თანდართული დოკუმენტების ასლების გაგზავნის დამადასტურებელი დოკუმენტი. სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 14 დღეს, ხოლო რთული კატეგორიის საქმეებზე – 21 დღეს.“ იმავე მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით,

„სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში, მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება...“

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232[1] მუხლის შესაბამისად, თუ მოპასუხე, მისთვის სასამართლო გზავნილის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და ვადაში მიწოდებიდან სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს შესაგებელს და ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, „მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლე ნიშნავს სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს...“ კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის თანახმად, „საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოში აღიძვრება სარჩელით...“ იმავე კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კანონით განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას, მოსამართლე 5 დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ. თუმცა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, ...“ სასამართლო უფლებამოსილია შეწყვიტოს სამართალწარმოება ან განუხილველად დატოვოს სარჩელი.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ -- -- საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა 2016 წლის 26 დეკემბერს. მოპასუხეს სარჩელი ჩაბარდა 2017 წლის 10 იანვარს. დოკუმენტი, რომელიც ადასტურებდა სარჩელის მოპასუხისათვის ჩაბარების ფაქტს, სასამართლოს წარედგინა 2017 წლის 20 იანვარს. -- -- მიერ წარმოდგენილი -- -- საფუძველზე ცხადი ხდებოდა, რომ მოპასუხე ობიექტური მიზეზების გამო, ვერ ახდენდა დათქმულ დროში შესაგებლის წარდგენას. 2017 წლის 23 იანვარს მიღებულ იქნა განჩინება შესაგებლის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადის 11 დღით გაგრძელების შესახებ. მოცემული ვადის ფარგლებში, მოპასუხის მიერ შესაგებელი არ იქნა წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ 2017 წლის 23 იანვრის განჩინება შესაგებლის წარმოდგენის ვადის გაგრძელების შესახებ, მოპასუხეს გაეგზავნა 2017 წლის 06 თებერვალს. საქმეში არ მოიპოვება იმის მტკიცებულება, თუ როდის ჩაბარდა აღნიშნული განჩინება მოპასუხეს (ამას საჩივარში აღნიშნავს თვითონ მომჩივანიც), თუმცა, 2017 წლის 27 ივნისს -- -- გაეგზავნა -- -- სარჩელი და თანდართული დოკუმენტები -- -- გადასაცემად. მოპასუხეს აღნიშნული საბუთები ჩაბარდა 2017 წლის 21 აგვისტოს.

-- -- -- -- საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესახებ განცხადებით მიმართა 2-ჯერ, პირველად, 2017 წლის 18 მაისს და 2017 წლის 07 ივნისს. ამ განცხადებების საფუძველზე მოსამართლე -- -- დაუსწრებელი გადაწყვეტილება არ მიუღია. მოსამართლემ 2017 წლის 14 ნოემბრის განჩინებით საქმეზე მოსამზადებელი სხდომა დანიშნა 2017 წლის 05 დეკემბერს, ხოლო 2017 წლის 08 დეკემბრის განჩინებით მიიჩნია, რომ სახეზე იყო

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა და შეწყვიტა საქმეზე სამართალწარმოება, რადგან წარმოდგენილი სარჩელი არ იყო საქართველოს საერთო სასამართლოების განსჯადი (2017 წლის 08 დეკემბრის განჩინება 2018 წლის 14 მარტს კერძო საჩივრით გაასაჩივრა -- --. აღნიშნული საქმის წარმოება სააპელაციო სასამართლოში ამ დრომდე მიმდინარეობს).

ამდენად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საკითხის გადაწყვეტისას, -- -- მოქმედებდა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება/არმიღების საკითხი მის უფლებამოსილებას წარმოადგენდა, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც მოცემულ საქმეზე 2017 წლის 08 დეკემბრის განჩინებით შეწყვიტა სამართალწარმოება, რადგან დავა არ იყო საქართველოს საერთო სასამართლოების განსჯადი.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 14 მაისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (კენჭისყრაში მონაწილე 12 წევრიდან 12 ხმით), სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით, მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტით და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №114/17, მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი